№444 2016 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

**შპს „საირმე 2007“-ზე გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების $6^1$ მუხლის მე-4 პუნქტისა და $7^1$ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს შპს „საირმე 2007“-ზე (ს/კ: 205261492) გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №101068 ლიცენზიაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ლიცენზიით გათვალისწინებული ფართობის, რომლის კოორდინატებია:

| № | X | Y |
|---|---|---|
| 1 | 4644350 | 8314965 |
| S=0,07 ჰა | | |

შეცვლა სხვა ფართობით, რომლის კოორდინატებია:

| № | X | Y |
|---|---|---|
| 1 | 313484 | 4641862 |
| S=0,07 ჰა. | | |

2. შპს „საირმე 2007“-მა (ს/კ: 205261492) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ შეცვლილ სალიცენზიო ფართობზე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №101068 ლიცენზიის მოქმედების ვადის ბოლომდე (2032 წლის 26 სექტემბრამდე) განახორციელოს დღე-ღამეში 5 $მ^3$-ის ოდენობის დაბალი მინერალიზაციის წყაროს წყლის მოპოვება სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ლიცენზიაში ცვლილების შეტანიდან 2 (ორი) წლის ვადაში უზრუნველყოს წყაროს წყლის მარაგის დათვლა და მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა.

4. მარაგის დამტკიცების შემდგომ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ლიცენზიაში ცვლილების შეტანის მიზნით, მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის გაზრდილ ოდენობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაიხადოს „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების $7^1$ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად დაანგარიშებული თანხა.

5. ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს საბადოს მარაგის მთლიანი რესურსის ათვისება.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**